

## არქეოლოგია, ეთნოლოგია Archeology, Ethnology

ლევან ჭაბაშვილი

## კოდისწყაროს სამაროვანი

კოდისწყაროს ყორღანული ველი მდებარეობს დავით გარეჯის უდაბნოში. ნამოსახლარის „ნაომარი გორა“ (უდაბნო I) აღმოსავლეთით მდებარე ტაფობში, მლაშე ტბების მხარეში მთელი ეს ველი სხვადასხვა ზომის ყორღანული სამარხებითაა დაფარული. 1987 წელს კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა სამი მათგანი, რადგან ამ ტაფობში დაგეგმილი იყო დიდი წყალსაცავის მოწყობა [12; გვ. 76].

**გორასამარხი № 1.** ნარმოადგენს 17 მ. დიამეტრის მიწაყრილს, რომელსაც ზემოდან კლდის ნაგლეჯი ქვის ჯავშანი ჰქონდა. მისი ალების დროს ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ქვით შექმნილი მცირე ყრილი გამოჩნდა, რაც კამერის ადგილმდებარეობაზე მიანიშნებდა. ყრილის ალების შემდეგ სამარხის პირზე გამოვლინდა ხის ძელების ფრაგმენტები, ხოლო სამარხის ირგვლივ -14 მ დიამეტრის ქვის წრე. სამარხი ორმო დამხრობილია NS ხაზზე, მისი ზომებია 3x1.6 მ. სიღრმე 1.9 მ. ორმოს ჩრდილო კედლის გასწვრივ, ცხვრის მთელი ჩონჩხია განლაგებული. სამარხში ცენტრალური ნაწილი და სამხრეთ მხარე კი მთლიანად ადამიანის მარჯვენა გვერდზე დაკრძალულ ჩონჩხს უკავია. სამარხში თიხის სამი ჭურჭელი აღმოჩნდა სამარხის განმენდის დროს აშკარად ჩანდა რომ მიცვალებულს და ინვენტარს ტყავი ჰქონდა გადაფარებული.

თიხის ჭურჭელი № 1. დერგი. დამზადებულია წმინდამარცვლოვანი კარგად განლექილი თიხისაგან. კაცი ორფენოვნად არის გამომწვარი. ზედაპირი შავია და ნაპრიალები, შიდაპირი კი ყავისფერი. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი, საშუალო სიგანის გადმოკეცილი პირი – მომრგვალებული ბაკოთი, ფართე კვერცხისებური მუცელი და ვიწრო ძირი.

სიმაღლე 32 სმ, მუცლის დმ 34 სმ, ძირის სიგანე 12 სმ, პირის სიგანე 15 სმ, (ტაბ. III). ზუსტად ასეთივე, ოღონდ ნაჭდევი ნერტილოვანი შევრონებით შემკული დერგი აღმოჩნდა III გორასამარხშიც (ტაბ IV<sup>ა</sup>). ორივე ეს დერგი კი ფორმით მსგავსებას პოულობს წაღვლის სამაროვნის № 20 სამარხის დერგთან (№139). [4; გვ. 92. ნაბ. 16<sub>139</sub>]. ავტორი აღნიშნულ სამარხს გარდამავალი ხანის I ეტაპს აკუთვნებს და ძვ.წ. XVII-ის 3 ნახევრით ათარილებს [3; გვ. 92].

თიხის ჭურჭელი №2 კოჭობი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისგან. კეცი მუქ წაბლისფრად არის გა-

მომწვარი. ფხვიერი და უხეშია. ზედაპირი ხაოიანია. ჭურჭელის მომრგვალებული პირი მკვეთრადა გადმოკეცილი, დაბალი ყელის ძირს ირიბი „ფრჩხილისებრი“ ნაჭდევები შემოსდევს. კორპუსზე შეიმჩნევა კონტენტრული, ოდნავ შესამჩნევად ამოღარული ხაზები, განსაკუთრებით მხარზე. ძირის კიდეც ირიბი ნაჭდევები შემოსდევს.

სიმაღლე 15 სმ, პირის დმ 14 სმ, მუცლის დმ 19 სმ, ძირის დმ 7.5 სმ (ტაბ. III). როგორც ცნობილია, შუადან გვიანბრიჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანის კომპლექსების თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი, როგორც წესი შემკულია მხარზე მოკლე ირიბი ნაჭდევებით ძირის კიდეზე. შემკვლობის ეს სახე შემდგომი პერიოდის წამყვანი ორნამენტული სქემის აშკარა ჩანასახს წარმოადგენს [6; გვ. 144].

თიხის ჭურჭელი № 3 ჯამი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი გამომწვარია ერთფრად – მუქწაბლისფრად, ფხვიერი და უხეშია. ზედაპირი ხაოიანია, მასზე შეიმჩნევა კონტენტრული ოდნავ შესამჩნევად ამოღარული ხაზები. ჭურჭელს აქვს ფართე, გადმოკეცილი პირი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი.

სიმაღლე 11 სმ, პირის დმ 11 სმ, მუცლის დმ 14 სმ, ძირის დმ 6 სმ (ტაბ III<sub>3</sub>). ამ ჭურჭლის კეცის სტრუქტურა და გამოწვის სახეც გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს მოგვაგონებს [6; გვ. 144].

**გორასამარხი № 2.** მიწაყრილ, იანრე ყორღანული სამარხია. ყრილს ყრილის დიამეტრიც 15 მ-ია სიმაღლე – 1.3 მ ყრილის აღების შემდეგ მის სამარხში მარჯვენა გვერდზე დაკრძალული იყო ერთი კიდურებმოხრილი მიცვალებული. თავის ქალა გადაგორებული იყო დასავლეთით. ე.ი. სამარხი ორმო აშკარად გადახურული უნდა ყოფილიყო. სამარხის ჩრდილო კედლის გასწვრივ წვრილფეხა საქონლის ძვლები გაიწმინდა. წვრილფეხა საქონელსა და ადამიანის ჩონჩხს შორის თიხის ოთხი ჭურჭელი იდგა. იქვე წვრილფეხა საქონლის ძვლების გვერდით, ადამიანის თავის ქალადან ოდნავ ჩრდილო – აღმოსავლეთით კი მსხვილფეხა საქონლის ძვლები (კიდურები) იყო განლაგებული. წვრილფეხა საქონლის ჩონჩხი აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლებთან და № 5 ჭურჭლის ქვეშ.

თიხის ჭურჭელი № 1. ქოთანი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისგან. კეცი ღია მოყავისფრო, ფხვიერი და უხეშია. ჭურჭლის ზედა, პირი ხაოიანია, კარგად ემჩნევა კონტენტრული ჩარხისეული წრეები. ჭურჭლის ქვედა ნაწილი ცეცხლზეა გამურული. შიდაპირი კი შედარებით ღია ფერისაა. ჭურჭელს აქვს მკვეთრად გადმოწეული პირი, ძალიან დაბალი ყელი, დიდი

სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. ჭურჭლის პირი ზემოდან ირიბი ჭდეებით არის შემკული. ირიბი ნაჭდევები აქვს ჭურჭლის ძირის კიდესაც. მკარი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. მის ქვემოთ კი რელიეფური გრეხილი ორნამენტი შემოსდევს ჭურჭელს.

სიმაღლე 20 სმ, პირის დმ 18 სმ, მუცლის დმ 28 სმ, ძირის დმ 28 სმ (ტაბ. III<sub>4</sub>). ცნობილია, რომ კონცენტრული ამოღარული ტალღური ზოლების არშით შემკობა ჩნდება შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ, დამახასიათებელ ელემენტად იქცევა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, შემდგომ პერიოდში კი ყველაზე გავრცელებულ ორნამენტულ მოტივს წარმოადგენს [7; გვ. 132].

შემკობა კი დამახასიათებელი ნიშანი მხოლოდ გარდამავალი ხანის კერამიკისათვის [6; გვ. 144].

თიხის ჭურჭელი № 2. ღრუფეხიანი თასი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი თხელია და ფხვიერი. ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანია ლეგა-მოყავისფრო. ჭურჭლის პირი ოდნავ არის გამოკვეთილი ამოღერილი ხაზით, რომელიც მას ძირზე შემოუყვება. მხარისა და მუცლის გარდატეხის ხაზი მკვეთრად არის გამოხატული. ჭურჭელს აქვს ღრუ ფეხი, რომელიც გაშლილი ძირით მთავრდება. მხარზე შეიმჩნევა ნაპრიალები ბადური ორნამენტი.

სიმაღლე 14 სმ, პირის დმ 18 სმ, მუცლის დმ 21.5 სმ, ძირის დმ 7 სმ, ძირის გაშლილი ნაწილი 10 სმ (ტაბ III<sub>5</sub>). თიხის ასეთივე, ოღონდ მცირე ზომის ჭურჭელი აღმოჩნდა ამავე გორასამარხში (ტაბ III<sub>6</sub>) და 3-ე გორასამარხში (ტაბ IV<sub>3</sub>).

კ. ფიცხელაურის მიხედვით მაღალი ღრუფეხიანი თასები დამახასიათებელი ხდება შუასა და გვიან ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი ხანის ძეგლებისათვის. მისი პროტოტიპები ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში ჩნდება, შუაბრინჯაოს ხანაში გვხვდება ამ ფორმის ლითონის ჭურჭელი [2; ტაბ 22]. ნაწილობრივ სახეშეცვლილი ფორმით ისინი ახასიათებს გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, შემდეგი პერიოდის ძეგლებზე კი გვხვდება მაგრამ ძალიან სპორადულად [6; გვ. 72-73]. ასეთი მაღალი და მომცრო ზომის თასები გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის მინურულის წალვლის №141 სამარხში (თ.ჭ. № 745). ავტორი მას ვაზას უწოდებს [4; ნახ. 88<sup>745</sup>]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო გამოკვლევების მიხედვით ეს ორნამენტული მოტივი თიხის ჭურჭელზე შუა ბრინჯაოს ხანის ახლადგამოყოფილ მეოთხე საფეხურზე ჩნდება. პირველად გარდამავალი ხანის ძეგლები იგი აღმოჩენილია: ცხინვალის სატყეო კომბინატის № 3 სამარხში, ზემო ბოდბის გორასამარხებში [11; ტაბ.

III d; Va, d; VI; VII; VIII; IX; X; XI a, b]. კონისწყაროს II გორასამარხის აღნიშნული მაღალი ღრუფეხიანი თასი პარალელებს სწორედ გარდამავალი ხანის ამ ძეგლების ღრუფეხიან თასებთან პოულობს და ამჟამად განსხვავდება გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გავრცელებული ჭურჭლებისგან [7; ტაბ. XII<sub>116</sub>; XLIX<sub>830</sub>; LIII<sub>859</sub>].

თიხის ჭურჭელი № 3. დერგი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი თხელია და ფხვიერი. ზედაპირი კარგად მოგლუვებული და შავად ნაპრიალები. შიდაპირი კი ღია მოყავისფროა და ემჩნევა კონცენტრული ჩარხისეული წრეები. ჭურჭელს აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, ლილვაკისებრი ბაკო, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, ფართე სფერული მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ყელისა და მხარის გადაბმის ადგილზე შემოუყვება ერთი ამოღარული ხაზი. ჭურჭლის მხარს შემოსდევს ორ ამოღარულ ხაზს შორის მოქცეული სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული მოგრძო სამკუთხედები, რომლებიც ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილით არიან დამორებული და წვერით ჭურჭლის ძირისკენ მიმართული. სამკუთხედებს შორის ჭურჭლის მხარს ამკობს აგრეთვე ნაპრიალები ირიბი ხაზებით შედგენილი სამკუთხედები, რომლებიც წვერით ჭურჭლის პირისკენ არის მიმართული. ჭურჭლის მხარის ერთ ადგილას კი შეიმჩნევა წვრილი ნაპრიალები ხაზისაგან დატანილი ტალღისებური ორნამენტის ორი ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ ჭურჭლის მუცელი ოთხგან, ხოლო ყელი ერთგან სპეციალურად არის გახვრეტილი.

სიმაღლე 26.5 სმ, ყელის დმ 12.5 სმ, მუცლის დმ 28.5 სმ, ძირის დმ 9 სმ (ტაბ. III). მსგავსი ფორმის დერგი აღმოჩენილია წალვლის სამაროვნის № 104 სამარხში (თ.ჭ. 566) [4; ნახ. 63<sub>566</sub>]. ავტორი მას შუაბრინჯაოს II ფაზის I საფეხურს აკუთვნებს და ძვ.წ. XVII ს-ით ათარილებს [3; გვ. 92]. ნაპრიალები სამკუთხედების და ჭდევის საშუალებით დატანილი შევრონების თითქმის ასეთივე კომბინაცია გვხვდება თრელის სამაროვნის № 43 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელზე [1; ნახ. 19<sub>386</sub>]. ავტორი ამ სამარხს შუაბრინჯაოს დასასრულ ხანას აკუთვნებს და ძვ.წ. XVI ს-ით ათარილებს [1, გვ. 68].

თიხის ჭურჭელი № 4. მცირე ზომის ღრუფეხიანი „თასი“. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი ფხვიერია შავად გამომწვარი და ნაპრიალები. ჭურჭლის პირი მხრისაგან ამოღარული ხაზითაა გამოყოფილი. 3 სმ. სიმაღლის ღრუ ფეხი გაშლილი ძირით ბოლოვდება. ჭურჭლის მხარი ნაპრიალები ბადური ორნამენტითაა შემკული. სიმაღლე 7 სმ, პირის სიგანე 7 სმ, მუცლის სიგანე 9 სმ, ფეხის სიგანე 4 სმ, ძირის გაშლილი ნაწილი 6 სმ (ტაბ. III<sub>6</sub>). ასეთივე მცირე ზომის ღრუფეხიანი

„თარები“ გვხვდება შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაში გარდამავალი პერიოდის ზემო ბოდბის № 4 გორასამარხში. [I, ტაბ; VI<sup>14,15,16</sup>].

თიხის ჭურჭელი № 5. ქოთანის. დამზადებულია სილანარევი თიხისაგან. კეცი ორ ფენადაა გამომწვარი. ზედაპირი ალა მონაცრისფროა და ნაპრიალები, შიდაპირი კი მოყავისფრო. კეცი საშუალო სისქისაა და ფხვიერია. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადმოშლილი პირი, დაბალი კონუსური ყელი, რომელიც ამოღარული ხაზით არის გამოყოფილი მხრისაგან, ფართო სფერული მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ჭურჭელს მიძერწილი აქვს ორი, მცირე ზომის ყური ვერტიკალური გამჭოლი ნახვრეტით. სიმაღლე 16,5 სმ, პირის სიგანე 13 სმ, მუცლის სიგანე 20 სმ, ძირს სიგანე 7 სმ (ტაბ. IV<sub>1</sub>). ანალოგიური ფორმის ჭურჭელი ჩვენთვის ხაზით არის გამოყოფილი მხრისაგან, ფართო სფერული მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ჭურჭელს მიძერწილი აქვს ორი, მცირე ზომის ყური ვერტიკალური გამჭოლი ნახვრეტით. სიმაღლე 16.5 სმ, პირის სიგანე 13 სმ, მუცლის სიგანე 20 სმ, ძირის სიგანე 7 სმ (ტაბ IV<sub>1</sub>). ანალოგიური ფორმის ჭურჭელი ჩვენთვის სხვა არ არის ცნობილი. თუმცა კეცის სტრუქტურისა და გამოწვის მიზედვით იგი შუაბრინჯაოს დასასრული ხანის და გარდამავალი ხანის თიხის ჭურჭელს უახლოვებდა [6; გვ. 142].

**გორასამარხი № 3.** მას ჰქონდა I მ-მდე სიმაღლის მიწაყრილი, რომელსაც ქვის ჯავშანი შემოსდევდა. ყრილის ალების შემდეგ ცენტრში გამოჩნდა კლდის დიდი ზომის ნაგლეჯი ქვების გროვა დიამეტრით 8 მ. მისი ცენტრალური ნაწილი ძაბრისებურად იყო ჩაღრმავებული. სამარხს გარს ერტყა 14.5 მ დიამეტრის ქვის წრე. სამარხი ორმო დამხრობილი NS ხაზზე. მისი ზომებია 2.2x1.55 მ; სიღრმე 1.7 მ სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის 6 ჭურჭელი. მიცვალებული დაკრძალული იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გაიწმინდა წვრილფეხა საქონლის ძვლები. მიცვალებულს თავის ქალასთან მსხვილფეხა საქონლის ძვლები ეწყო (ტაბ. I, II).

თიხის ჭურჭელი № I. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან წვრილმარცვლოვანი ქვიშის მინარევით. კეცი ღია მოყავისფროა, ფხვიერი და უხეში. ჭურჭლის ზედაპირი ხაოიანია, ეტყობა ჩარხისეული წმინდა, კონცენტრული ხაზები. ქვედა ნაწილი ცეცხლზე ჩანს გამურული. ჭურჭლის ფართე პირი გადმოკეცილია, მისი ზედაპირი კი ირიბი ნაჭდევებით არის შემკული. ჭურჭელს აქვს ძალიან დაბალი ყელი, ფართე სფერული მუცელი და განიერი ბრტყელი ძირი. მხარი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნა-

მენტით, მის ქვემოთ მუცლის ზედა ნაწილს შემოსდევს „თევზიფხური“ ნაჭდევი ორნამენტი. ძირის კიდე სიგანე 19 სმ, პირის სიგანე 20 სმ, მუცლის სიგანე 30 სმ, ძირის სიგანე 18 სმ (ტაბ. IV<sub>2</sub>). ეს ჭურჭელი როგორც ფორმით ასევე კეცის სტრუქტურით ძალიან ჰგავს ამავე სამაროვნის № 2 გორასამარხის № 1 თიხის ჭურჭელს (ტაბ. III<sub>4</sub>). ამოღარული ტალღური ორნამენტის შესახებ კი არსებობს მოსაზრება, რომ იგი ჩნდება შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში, გვიან ბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან იგი მთლიანად ცვლის ტეხილი ხაზის სქემას, რაც სწრაფად მბრუნავი ჩარხის შემოღებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული [6; გვ. 142].

თიხის ჭურჭელი № 2. დერგი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან წვრილი თეთრი მინარევებით. კეცი სამფენოვნად არის გამომწვარი. ზედაპირი შავია და ნაპრიალები, შუაგული აგურისფერი, შიდაპირი კი მოყავისფრო. კეცი სქელი და ფხვიერია. ჭურჭელს აქვს საშუალო სიგანის გადაშლილი პირი, ბრტყელი ბაკო, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, ფართე სფერული მუცელი და ვიწრო, ოდნავ ამოზრცული ძირი. ყელს ძირზე შემოსდევს ამოღარული ხაზი მხარი კი შემკულია თანაბარი ზომის ნაპრიალები სამკუთხედებით, რომლებიც წვერით ჭურჭლის პირისკენ არიან მიმართული და ამოღარულ ხაზს ებჯინებიან. სიმაღლე 26.5 სმ, პირის სიგანე 15 სმ, მუცლის სიგანე 30.5 სმ, ძირის სიგანე 11.5 სმ (ტაბ. IV<sub>3</sub>). ფორმით ეს დერგი მსგავსებას პოულობს წალვლის სამაროვნის № 3 სამარხის დერგთან (თ.ჭ. № 34) [4; ნახ. 4<sub>34</sub>]. აღნიშნულ სამარხს ავტორი შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის I ეტაპს აკუთვნებს და მას ძვ.წ. XVI ს-ის I ნახევრით ათარიღებს [3; გვ. 92]. ხოლო ასეთივე ორნამენტი – წნევით დატანილი პრიალა, წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების ერთი რიგი – ამკობს ბრუმანწყლის გორასამარხის № 1 სამარხის 2 ჭურჭელს [7; ტაბ IV<sub>1,3</sub>]. აღნიშნული სამარხი შუიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით არის დათარიღებული. [7; გვ. 7].

თიხის ჭურჭელი № 3. დერგი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი ფხვიერია და ორფეროვნად გამომწვარი. ზედაპირი შავად არის ნაპრიალები, შიდაპირი მოყავისფროა. ჭურჭელს აქვს საშუალო სიგანის ფართოდ გადმოშლილი პირი, ლილვაკისებრი ბაკოთი, მაღალი ყელი, რომელიც მხრისგან გამოყოფილია ორი წვრილად ამოღარული ხაზით, ფართე მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. მუცელს შემოუყვება ორი რელიეფური ზოლი, რომელთა შორის სივრცეც სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული ტეხილი ხაზითა და

სამკუთხედებით არის შევსებული. ჭურჭლის მხარი იგივე ტექნიკით შესრულებული, ირიბი ხაზებითა და ერთმანეთისადმი თავშექცევით განლაგებული სამკუთხედებით არის შემკული, ჭურჭლის ყელი შუა ადგილას არის გახვრეტილი.

სიმაღლე 19.5 სმ, პირის სიგანე 12 სმ, მუცლის სიგანე 24 სმ, ყელის სიგანე 10.5 სმ, ეს ჭურჭელი ფორმით შეიძლება შევადაროთ ე.წ. დორას, რომელიც გავრცელებულია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ძეგლებზე: ნეროვანი II სამაროვანზე [5; ტაბ. I], ღრმაღელის გორასამარხებში [9; სურ. 19, 26, 34] და ა.შ. არსებობს მოსაზრება რომ, ეს ფორმის ჭურჭელი ძირითადად მტკვრის შუა დინების დაბლობში მდებარე ძეგლებზე გვხვდება [8, გვ. 97-98]. მაგრამ კოდისწყაროს სამაროვნის ეს ჭურჭელი მაინც განსხვავდება დორასგან როგორც ფორმით, ასევე ორნამენტით. ზემოთაღნიშნული ჭურჭლის ქვედა ფრიზზე დატანილი ორნამენტი თითქმის ზუსტად იმეორებს თრელის სამაროვნის № 74 სამარხის ერთ-ერთი დერგის ორნამენტს [1; ნახ. 28]. აღნიშნული სამარხი ავტორის მიერ ძვ.წ. XV ს-ით არის დათარიღებული [1; გვ. 68].

თიხის ჭურჭელი № 4. დერგი. დამზადებულია წმინდამარცვლოვანი კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი ორფეროვნად არის გამომწვარი. ზედაპირი შავია და კარგად ნაპრიალები, შიდაპირი კი ყავისფერი. ჭურჭელს აქვს საშუალო სიგანის გადმოკეცილი პირი, მომრგვალებული ბაკო, დაბალი ყელი, ფართე სფერული მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ჭურჭელი შემკულია „სავარცხლის კბილის“ შტამპით შესრულებული სამკუთხედები თანაბარი ზომისაა და ისინი ჯგუფებად (სამ-სამი) არიან განლაგებული – ამის გარდა ჭურჭელს მუცელზე შემოუყვება ერთი სუსტად ამოღარული ხაზი. ჭურჭელი ძირთან აზლოს გახვრეტილია. სიმაღლე 30.5 სმ, პირის სიგანე 15 სმ, მუცლის სიგანე 33.5 სმ, ძირის სიგანე 12 სმ, ყელის სიგანე 15 სმ, ყელის სიმაღლე 3 სმ (ტაბ. IV ო).

ზუსტად ასეთივე დერგი აღმოჩნდა ამავე სამაროვნის № I. გორასამარხში (ტაბ. III ო). აღწერილი ორნამენტი კი პარალელურ პოულობს თრელის სამაროვნის № 53 სამარხის რამდენიმე ჭურჭლის ორნამენტთან [1; ნახ. 23<sup>419, 420, 421, 422</sup>]. აღნიშნულ სამარხს ავტორი შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს აკუთვნებს და დათარიღებულია ძვ.წ. XVI ს-ით [1; გვ. 68].

თიხის ჭურჭელი № 5. მალალყელიანი ქოთანის. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან წვრილი თეთრი მინარეგვებით. კეცი ფხვიერია და ორფეროვნად გამომწვარი. ზედაპირი შავად არის ნაპრიალები. შიდაპირი მოყავისფროა. ჭურჭელს აქვს ფართე გადმო-

ლილი პირი, ლილვაკისებრი ბაკო, მაღალი კონუსური ყელი, ფართე სფერული მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ყელისა და მხარის გადაბმის ადგილას ორი ხაზია ამოღარული. ჭურჭლის მხარი შემკულია სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული სამკუთხედების ორი რიგით, რომლებიც ერთმანეთისაგან თავშექცევით არიან განლაგებული. სიმაღლე 17.5 სმ, პირის სიგანე 11.5 სმ, ყელის სიგანე 12.5 სმ, მუცლის სიგანე 21.5 სმ, ძირის სიგანე 6 სმ (ტაბ IV<sub>7</sub>).

ორნამენტის ეს სახე ერთმანეთისაგან თავშექცევით განლაგებული სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული სამკუთხედების ორი რიგი გვხვდება თრელის სამაროვნის № 74 სამარხის 2 ჭურჭელზე [I; გვ. 68]. აღნიშნული სამარხი ავტორის მიერ ძვ.წ. XV ს-ით არის დათარიღებული [I; გვ. 68].

თიხის ჭურჭელი № 6. ჯამი. დამზადებულია კარგად განლეპილი თიხისგან წვრილი თეთრი მინარევებით. კეცი ფხვიერია, ორფენოვნად გამომწვარი. ზედაპირი შავად არის ნაპრიალები, შიდაპირი კი მოყავისფროა. ჭურჭელს აქვს ფართო, გადმოკეცილი პირი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. მუცლისა და მხარის გარდატეხის ადგილას ორი ამოღარული ხაზი შემოყვება. ამ ხაზებსა და ჭურჭლის პირს შორის სივრცე ნაპრიალები ხაზებისაგან შედგენილი სამკუთხედებით არის შევსებული. სიმაღლე 14 სმ, პირის სიგანე 22.5 სმ, მუცლის სიგანე 28 სმ, ძირის სიგანე 10.5 სმ (ტაბ IV<sub>8</sub>). ასეთი ფორმის ჯამი აღმოჩენილია თრიალეთის ე. გოგაძისეული პერიოდაზიციის შუაბრინჯაოს ხანის III საფეხურის XV გორასამარხში [2; ტაბ. 22]. ასევე ე. გოგაძისეული პერიოდაზიციის შუაბრინჯაოს მიწურული ხანის ლილოს № 5 გორასამარხში [10; ტაბ. XXVIII<sub>3</sub>] და შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებში გარდამავალი პერიოდით დათარიღებულ ცხინვალის სატყეო კომბინატის № 3 სამარხში [11; ტაბ. III<sub>35</sub>]. ხოლო აღწერილი ორნამენტის მსგავსი ორნამენტით შემკულია თრელის სამაროვნის №43 სამარხის რამდენიმე თიხის ჭურჭელი [1, ნაბ 19<sub>388, 389, 393</sub>]. აღნიშნული სამარხი ავტორის მიერ ძვ.წ. XVI ს-ით არის დათარიღებული [I; გვ. 68].

თიხის ჭურჭელი № 7. მცირე ზომას ღრუფეხიანი „თასი“. დამზადებულია კარგად განლეპილი თიხისაგან წვრილი თეთრი მინარევებით. კეცი ფხვიერია და შავად გამომწვარი. ჭურჭლის პირი ოდნავ შესამწნევად არის გამოკვეთილი ვიწრო ამოღარულიხაზით, რომელიც მის ძირს შემოყვება, ჭურჭელს აქვს პატარა ღრუ ფეხი რომლის ძირიც დაზიანებულია ჭურჭლის მხარი შემკობილია ოდნავ დახრილი ვერტიკალური ნაპრიალები ხაზებით. სიმაღლე 5 სმ, პირის სიგანე 6.5 სმ, მუცლის სიგანე 8 სმ (ტაბ IV<sub>9</sub>). ზუსტად ასეთივე თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია ამავე სამაროვნის № 2 გორასამარხში (ტაბ



III<sub>5</sub>), ხოლო აღწერილი ორნამენტული სქემა კ. ფიცხელაურის მიხედვით ცნობილია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, უმეტესად მოხატულ ჭურჭელზე, შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდისა და გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის კერამიკაზე, უფრო გვიანი ხანის ძეგლებზე კი იგი უცნობია. [6; გვ. 142].

ამრიგად, კოდისწყაროს ყორღანულ ველზე შესწავლილი სამივე გორასამარხი წარმოადგენს ქვამინაყრილიან ორმოიან გორასამარხებს. სიმაღლე I-1. 3 მ-ს არ აღემატება, ხოლო დიამეტრიც 15-17 მ-ს. № 1 და № 3 გორასამარხებს ჰქონდათ ქვის წრეებიც (14 და 14.5 მ დიამეტრის) და სამარხი ორმოებს გადახურვაზე აღმართული ყოფილა მცირე ზომის ქვყრილი. სორმოები როგორც ჩანს გადახურული ყოფილა ხის ძელებით. ამაზე მიგვანიშნებს ხის ფრაგმენტებს აღმოჩენა სამარხის პირზე. სამარხი ორმო დამხრობილია № 5 ხაზზე. მისი ზომებია: 2.2-3 x 1.55-1.6 მ და სიღრმე 0.8-1.9 მ. ორ სამარხში მიცვალებული დაკრძალულია ცენტრალურ ნაწილში, № 3 სამარხში კი გაინმინდა სამარხის სამხრეთ ნაწილში. ყველა მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი. თან ჩატანებული აქვს კერამიკული ნაწარმი და როგორც მსხვილფეხა ისე წვრილფეხა საქონელი. ლითონის და სხვა სამარხეული ინვენტარი აღმოჩენილი არ ყოფილა. № 1 გორასამარხში დადასტურდა, რომ მიცვალებულს და ინვენტარს ტყავი ჰქონდათ გადაფარებული.

კოდისწყაროს ყველა სამარხეული კომპლექსი ერთმანეთის თანადროულია და მოტანილი პარალელური მასალის მიხედვით შეიძლება დავათარილოთ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., თრელის შუა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, თბილისი I, თბ., 1978
2. გოგაძე ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972
3. რამიშვილი ალ., შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998
4. რამიშვილი ალ., ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლში გათხრილი სამაროვნის სამარხებისა და იქ მოპოვებული მასალის აღწერილობა, სადოქტორო დისერტაციის დამატება, თბ., 1998
5. სადრაძე ვ., ბლიაძე ნ., წეროვნის გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის სამაროვნის დორები, არქეოკოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1985
6. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები ძვ. წ. XV-VII სს, თბ., 1973
7. ფიცხელაური კ., მენაბდე ც., გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები V, თბ., 1982
8. ფიცხელაური კოტე, ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა (დამახასიათებელი ნიშნები, გავრცელების არეალი და კულტურის არსი), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003
9. ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955
10. Гогадзе Э., Курганные погребения Лило, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ) XXXII, თბ., 1976
11. Пицхелаури К., Восточная Грузия в конце бронзового века, Тб., 1978
12. Пицхелаури К., Варазишвили В., Кваваძე Д., Кинцурაშვილი М., Кобаიძე Л. Полевые исследования Качетской экспедиции. Полевые археологические исследования в 1987 году (ПАИ), Тб., 1995

## ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I კოდისწყაროს № 3 გორასამარხის გეგმა
- ტაბ. II კოდისწყაროს № 3 გორასამარხის სამარხი კამერის გეგმა.
- ტაბ. III კოდისწყაროს სამაროვნის კერამიკული მასალა. 1-3 № 1 გაროსამარხის კერამიკული მასალა, 4-7 № 2 გორასამარხის კერამიკული მასალა.
- ტაბ. IV კოდისწყაროს სამაროვნის კერამიკული მასალა. 1 თიხის ჭურჭელი № 2 გორასამარხიდან 2-8 № 3 გორასამარხი კერამიკული მასალა.

**Beschreibung der Abbildungen**

- Abb. I Plan von Kodisckaro 3 Hügelgrab.  
Abb. II Plan von Grabkammer des 3 Hügelgrab oon Kodisckaro.  
Abb. III Keramisches Material von Kodisckaro Gräberfeld, 1-3  
Keramisches Material aus dem 1 Hügelgrab, 4-7 Keramisches  
Material aus dem 2 Hügelgrab.  
Abb. IV Keramisches Material von Kodisckaro Gräberfeld, 1- Keramik  
gefäß aus dem 2 Hügelgrab, 2-8 Keramisches Material aus dem  
3 Hügelgrab.

Levan Tschabaschwili


**Das Gräberfeld von Kodisckaro**

## Zusammenfassung

Das Gräberfeld von Kodisckaro befindet sich in der David-Gareji Steppe, südöstlich von der Siedlung Udabno I. Hier wurden mehrere Hügelgräber von verschiedener Größe entdeckt. Im Jahre 1987 hat die Kachetische archäologische Expedition 3 Hügelgräber ausgegraben. Hierbei handelt es sich um Hügelgräber mit Grabgrube. Die Schüttung besteht aus Erde und Steinen. Die Höhe der Aufschüttung beträgt 1-1,3m, und der Durchmesser 15-17m. Die Hügelgräber 1 und 3 hatten einen Steinkreis, 14 und 15m Durchmesser. Die Grabkammern waren vermutlich mit Holzbalken abgedeckt. Die Gräber sind # 5 orientiert, und haben eine Größe 2,2-3 x 1,55-1,6m, und eine Tiefe 0,8-1,9m. In 2 Gräber sind die Toten im zentralteil der Kammer bestattet. Im 3 Grab lagen die Gebeine des Totes südlich der Kammer. Alle Toten waren als rechtseitiger Hocker mit dem Kopf nach Norden bestattet worden. An Beigaben fanden sich in den Grabkammer Fragmente von Keramikgefäße. In alle Gräbern wurde Skellete von Tiere entdeckt.

Alle drei Gräber sind gleichzeitig und sie werden anhand Vergleichsmaterial in die Übergangsperiode von Mittel zu Spätbronzezeit datiert.

## ტაბულები - ABBILDUNGEN



II



